

F-171

1966.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებულში

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9-10

სექტემბერი—ოქტომბერი

თბილისი—1966

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1966 წლის 4 აგვისტოს ბრძანება № 888

1966 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეთა ბავშვების დასვენების ორგანიზაციის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 18 ივნისის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებსა, სკოლა-ინტერნატებსა, საბავშვო სახლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მუშებისა და მოსამსახურეთა ბავშვების დასვენების ორგანიზაციისათვის. ქ. თბილისის № 1, № 8, № 11, № 15, № 7, № 80 (გამგეები ქ. კაკუშაძე, ა. კანდელაკი, თ. კილაძე, ნ. ფარცხალაძე, თ. ბახტაძე), ქ. სოხუმის № 11 (კამგე დ. ტამბია), ქ. ბათუმის № 1, № 24, № 25, № 28, ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის (გამგეები მ. მამაიაშვილი, ა. სამსონაძე, ლ. ბაქრაძე, გ. შანიძე, პ. სულაბერიძე), ზესტაფონის № 1 (გამგე ე. ყანჩაველი), ცხაკაიას № 5 (გამგე თ. სოგავა) საბავშვო ბაღები, მახარაძის, ბოდბის სკოლა-ინტერნატები, კოჯრის № 1, № 2, № 3 საბავშვო სახლები (დირექტორები უ. ჭეიშვილი, გ. მათეშვილი, მ. მგალობლიშვილი, ზ. ვაწაძე, ე. ჯაფარიძე) მომზადებული გადავიდნენ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე

აღნიშნული საბავშვო დაწესებულებების აღმზრდელები გარემო პირობებს, ბუნებრივ მასალას და მის მრავალფეროვნებას იყენებენ ბავშვების გაჯანსაღებისა და მათთან პედაგოგიურ აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის. შეცადინებებს და სხვა რეჟიმულ მომენტებს ძირითადად ატარებენ ჰაერზე, ბავშვების გონებრივი განვითარებისათვის აქტიურად იყენებენ გასეირნებებსა და ექსკურსიებსა. ყურადღების ცენტრშია ესთეტიკური აღზრდის საქმე. წესრიგში შეტანილი მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვა. გამაქაჩებელი პროცედურების (მუსიკის, მწიკისა და ჰაერის აბაზანები) ტარდება ექიმის ან აქტიური მეთვალყურეობით. დიდი ყურადღება

4-3061





ექცევა სისუფთავის დაცვას, კვების მრავალფეროვნებას და კალორიანობას.

მიუხედავად ამისა, საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთი საბავშვო დაწესებულების ხელმძღვანელი ნაკლებ ინტერესს იჩენს გამაჯანსაღებელი მუშაობის ნორმალურად ჩატარებისათვის; არ იცნობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 14 ივნისის მითითებებს ამ საკითხზე. სოხუპის № 5, ბიჭვინთის, ტყვარჩელის, რუსთავის № 10, სამხრეთ-ოსეთის ა/ოლქის სოფ. კვაისის, ქ. გორის საფეიქრო კომბინატის № 2, ზუგდიდის რაიონის ინგურპესის, ოჩამჩირის № 5 (გამგეები ნ. ნათია, ე. კონდრატიევა, მ. ხვინგია, ნ. ენუქიძე, ფ. თედეევა, ე. კაპანაძე, ე. დობრაია, ე. კვარაცხელია) საბავშვო ბაღებში, გორდის, ბეთანიის სკოლა-ინტერნატებსა, კოჯრის № 5, № 6 საბავშვო სახლებში (დირექტორები დ. უგულავა, ქ. ტომარაძე, ვ. სიხარულიძე, ო. გოცირიძე) არ არის მოწესრიგებული სისუფთავის დაცვის საკმე.

სუსტია სამედიცინო მომსახურება და გავრცელებულია ინფექციური დაავადებანი ქ. თბილისის № 16, თბილისის № 2 თამბაქოს ქარხნის ბაღებსა (გამგეები თ. კავაძე, კონდრატიევა) და გავრის რაიონის ბაგა-ბაღში. ინდივიდუალური მუშაობა არ ტარდება ფიზიკურად სუსტ ბავშვებთან გავრის № 6 საბავშვო ბაღში (გამგე ვ. კეშელავა). სამედიცინო პერსონალის გარეშეა ბორჯომის ხეობაში საავარაკოდ გასული ოჩამჩირის № 1 და № 2 საბავშვო ბაღები (გამგეები ნ. გაგუა, თ. თოდუა) და ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატი. გავრის № 4 (გამგე ც. პოპოვა) საბავშვო ბაღში ადგილი აქვს ორ-ორი ბავშვის ერთად წოლის შემთხვევებს.

უყურადღებოდ აგსებენ მენიუ-მოთხოვნილებებს ოჩამჩირის № 9 საბავშვო ბაღში (გამგე ნ. რურუა).

სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სოფ. კვაისის საბავშვო ბაღში საკვების გაცემას აწარმოებენ მენიუ-მოთხოვნილების ვარეშე. ზოგ საბავშვო ბაღში ადგილი აქვს კვების პროდუქტების მითვისების შემთხვევებს. მაგალითად, სამტრედიის ძაფსაღები ქარხნის საბავშვო ბაღის მზარეულს მ. ნიკურაძეს გადამალული ჰქონდა 300 გრამი კარაქი.

სუსტად მიმდინარეობს პედაგოგიური მუშაობა აფხაზეთის ასსრ-ის გავრის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის საბავშვო ბაღებში. განათლების განყოფილებები სათანადო პასუხისმგებლობით ვერ ეკიდებიან გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გადასულ სკოლამდელი და-

წესებულებების კადრებით დაკომპლექტების საქმეს: ზაფხულის პერიოდში ძირითად აღმზრდელებს გზავნიან შვებულებაში, ხოლო დროებით აღმზრდელებად ნიშნავენ სრულიად გამოუცდელ პირებს, რაც ართულებს მუშაობას; მშობლებს მოშორებული ბავშვები ძნელად ეგუებიან ახალ გარემოს და უცხო აღმზრდელებს. არავითარი პედაგოგიური მუშაობა არ წარმოებს სამხრეთ-ოსეთის ა/ოლქის სოფ. კვაისის საბავშვო ბაღში.

ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე და სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს საბავშვო ბაღების აღსაზრდელების აგარაკებზე გადაყვანის ორგანიზაციას, არ არის კონტაქტი საავტომობილო სატრანსპორტო სამინისტროს შესაბამის ორგანოებთან, ბავშვების აგარაკზე გადაყვანას ანდობს გამოუცდელ მუშაკებს, ამ დანიშნულებით იყენებს ისეთ მანქანებს, რომლებიც არ არის მზადყოფნის მდგომარეობაში და მძღოლიც არაკვალიფიციურია. ქ. თბილისის კიროვის რაიონის № 34 და № 42 საბავშვო ბაღებში ასეთ უყურადღებობას თან მოჰყვა უბედური შემთხვევა.

საქართველოს სსრ კომუნალური მომსახურების მთავარ სამმართველოს ადგილობრივმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრეს ბინების დაქირავების საკითხში არსებული ნაკლოვანებანი. მაგალითად, ქობულეთში საბავშვო ბაღების მიერ დაქირავებული ბინების დამხმარე სათავსოები შეტანილი აქვთ ძირითად ფართში, რითაც ხელოვნურად არის გაზრდილი ფასები.

ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში საავარაკოდ გასულ საბავშვო ბაღებში, კოჯრის საბავშვო სახლებში, გორდისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული სურსათით მომარაგების საკითხი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა გადაჭრით გააუმჯობესონ გამაჯანსაღებელი მუშაობა. სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა დააწესონ პედაგოგიურ-აღმზრდელობით მუშაობაზე; განუზრებლად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული მეთოდური მითითებებით „სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ“. უზრუნველყონ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კვების ხარისხს, მენიუს მრავალფეროვნებას.



2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატური იზრუნონ საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. მომავალში არ დაუშვან სააგარაკოდ გამსვლელ სკოლამდელ დაწესებულებათა დაკომპლექტება გამოუკვლელი კადრებით. სათანადო დახმარება აღმოუჩინონ საბავშვო დაწესებულებებს ავარაკებზე ბინების დაქირავებისა და ბავშვების გადაყვანის ორგანიზაციაში. ეს ბრძანება განიხილონ საბავშვო დაწესებულებების მუშაკთა თათბირებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიიღოს გადაწყვეტილი ზომები საბავშვო ბაღების ხარისხიანი საკვები პროდუქტებით მომარაგებისათვის

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დააწესონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ და სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 29 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის
დაცვის სამინისტროების 1966 წლის 8 აგვისტოს ბრძა-
ნება № 901—517/ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა,
სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ჯან-
მრთელობის დაცვისა და სამედიცინო-სანიტარული მომსახურების
გაუმჯობესების შესახებ

გავეცანით რა რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა
და საბავშვო სახლებში მოსწავლეთა სამედიცინო და სანიტარული
მომსახურების მდგომარეობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავთ,
რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავ-
ლეთა სამედიცინო მომსახურება. 1964 წელთან შედარებით,
1965 წელს დაახლოებით 50 ათასზე მეტმა მოსწავლემ გაიარა ღრმა
სამედიცინო შემოწმება. ყოველწლიურად იზრდება ბავშვთა და
მოზარდთა სპეციალიზირებული სამკურნალო პროფილაქტიკური და-
წესებულებების ქსელი. დღეისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს
27 ბავშვთა სომატური საავადმყოფო 2265 საწოლით, 28 სანატო-
რიუმი 2760 საწოლით, მათ შორის, ტუბერკულოზით დაავადე-
ბულთათვის 10—1225 საწოლით, რევმატიზმით დაავადებულთათვის
1—75 საწოლით, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენების სამკურნა-
ლოდ 1—75 საწოლით და ბავშვთა საერთო გამაჯანსაღებელი
სანატორიუმები 16—1385 ადგილით.

მარტო 1965 წელს მოსწავლეთათვის გახსნილი იყო 90 პიო-
ნერული ბანაკი 60.620 ადგილით, გამაჯანსაღებელი ბანაკები
უფროსკლასელთათვის 1990 ადგილითა და გამაჯანსაღებელი მოე-
დნები — 60 ათასი ბავშვისათვის.

რესპუბლიკას დაემატა 20-ზე მეტი სკოლის ექიმისა და 50-მდე
ექიმ სტომატოლოგის ადგილი.

დიდი მუშაობა გაწეული ახალი სკოლების მშენებლობისა და
ძველი შენობების რეკონსტრუქციისათვის; გასულ წელს აშენდა და
ექსპლოატაციაში გადაეცა 49 სასკოლო შენობა 20.914 მოსწავლე



ადგილით, ხოლო მიშენება-დაშენების შედეგად სკოლების არსებული ფართობი გადიდა 5370 მოსწავლე ადგილით, ამავე პერიოდში აშენდა 36 საბავშვო ბაღი და ბავა-ბაღი.

სკოლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ორი და სამცვლიანი მეცადინეობა. ამჟამად რესპუბლიკის 4-297 სკოლიდან ორ ცვლაზე ჯერ კიდევ მუშაობს—1298, ხოლო სამცვლაზე 19 სკოლა. გაუმჯობესდა სკოლების ახალი ინვენტარით მომარაგების საქმე; გასულ სასწავლო წელს სკოლებმა მიიღეს 31 ათასი მერხი, 6 ათასი დაფა, 3 ათასი ლაბორატორიული მაგიდა, 11 ათასი სკამი და სხვა ინვენტარი.

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმინისტროებმა ადგილობრივ ორგანოებს სხვადასხვა დროს დაუგზავნეს ბრძანებები სკოლებში მოსწავლეთა სამედიცინო-სანიტარული მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

დამუშავდა და ადგილებზე გაიგზავნა სხვადასხვა ხასიათის მეთოდური წერილები და ინსტრუქციები. გამოიცა პოპულარული ბროშურები ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო ჰიგიენის საკითხებზე, აგრეთვე საუბრები, „მოსწავლეებთან ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვის შესახებ“ და „რა უნდა იცოდეს მშობელმა მოსწავლეთა დღის რეჟიმის შესახებ“.

მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა სამედიცინო-სანიტარული მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არადამაკმაყოფილებლად სრულდება განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1964 წლის 22 სექტემბრის № 1040(286) ბრძანება „სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1963 წლის 29 ივლისის № 535/ო ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“.

დაბალ დონეზე ტარდება ბავშვთა და მოზარდთა სამკურნალო პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი მუშაობა სოფლისა და ქალაქის სკოლების ერთ ნაწილში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დაბალია მოსწავლეთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდის დონეც; მოსწავლეთა ერთ ნაწილში ადგილი აქვს მხედველობის დაქვეითებას, ხერხეზლის გამრუდებას და გულ-მკერდის დეფორმაციის შემთხვევებს.

სკოლების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა ასაკის შესაფერისი ზომის მერხებით.

სოფლის ზოგ სკოლაში არ სწარმოებს მოსწავლეთა ღრმადი სამედიცინო შემოწმება. პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე არარეგულარულად იხილავენ მოსწავლეთა სამედიცინო და სკოლების სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების შედეგებს.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში სასწავლო სახელოსნოები მოწყობილია შეუფერებელ ოთახებში. ამასთან სათანადო ყურადღება არ ექცევა უსაფრთხოებისა და საწარმოო-სანიტარიის წესების დაცვის საქმეს. სახელოსნოებში არ არის გაკრული უსაფრთხოების ტექნიკის პლაკატები, მოსწავლეები უხალათოდ მუშაობენ, არა აქვთ პირსაბანი და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები. სახელოსნოებში არსებული სამუშაო ინვენტარი არ აკმაყოფილებს სან-ჰიგიენურ მოთხოვნილებებს, არ შეეფერება მოსწავლეთა ასაკს, უმეტესი იარაღი გაულესავი, ჩლუნგი და შრომითი სწავლებისათვის უვარგისია. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა ღრმა სამედიცინო შემოწმების გარეშე მოსწავლეები ჩაბმული იყვნენ შრომით სწავლებაში.

ბევრ სკოლას არა აქვს ფიზიკური კულტურის დარბაზი, მოუწყობელია სპორტული მოედნები. მოსწავლეები არ არიან დაყოფილი სამედიცინო ჯგუფებად, ამასთან მათი უმეტესი ნაწილი არღვევს დღის განრიგს. ყველგან არ არის გახსნილი სასკოლო სასადილო, ბუფეტი, ხოლო არსებული ბუფეტების დიდი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს ცხელი საუზმით. სკოლის სასადილოები და ბუფეტები არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან სათანადო ასორტიმენტის პროდუქტებით და სხვ.

ზოგიერთი სკოლის, სკოლა-ინტერნატისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში დირექტორები (გამგებები) ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ მათ დაწესებულებებში სანიტარული წესების დაცვისადმი, ხოლო ზოგი პედაგოგი სუსტად ერკვევა ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის საკითხებში, იგივეებს თავის მოვალეობას, რომ პედაგოგი წარმოადგენს ჰიგიენური აღზრდისა და სწავლების ძირითად გამტარებელს სკოლაში. სკოლებში მომუშავე მდპერსონალი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა შრომითი და შემოქმედებითი მუშაობის დროს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას. არადამაკმაყოფილებელ ა სანებილსადგურების კონტროლი სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების მიმართ.

ზოგადსავანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ჯანმრთელო-

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 23 სექტემბრის დებულება „სკოლის სანიტარულ ჰიგიენური რეჟიმის შესახებ“ და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1963 წლის 29 აპრილის ბრძანება № 535/ო „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“;

ბ) ამა წლის 1 სექტემბრამდე შეამოწმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სკოლა-ინტერნატების და ბავშვთა სახლების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად. შემდეგში ასეთი შემოწმებები აწარმოონ ყოველ კვარტალში ერთხელ და შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საბჭოების სხდომებზე;

გ) სოფლად თვითეულ სკოლას, სკოლა-ინტერნატსა და სხვა ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებას მიამაგრონ მედიცინის მუშაკები და სოფლის ამბულატორიებისა და საავადმყოფოების მეშვეობით სისტემატური კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე;

დ) ჯანმრთელობის დაცვისა და სკოლის მუშაკებს შორის ჩაატარონ ინსტრუქტაჟი სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების განკარგულებების, დებულებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

2. სკოლების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (გამგეებმა) და ექიმებმა:

ა) დაწესებულ ვადებში ჩაატარონ მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. დასახელებული ღონისძიების შესრულების გარეშე მოსწავლეები არ იქნენ დაშვებული შრომითი სწავლებისა და ფიზკულტურის გაკვეთილებზე. დასახონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში სრული წესრიგის დასამყარებლად.

ბ) სკოლებში, დაწესებულ ვადებში, რეგულარულად ჩაატარონ მოსწავლეთა პროფილაქტიკური დათვალიერება, ხოლო საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში—ყოველდღიურად;

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მეოთხედში ერთხელ მოისმინონ საკითხი სკოლის სანიტარული და მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

დ) მოაწყონ ზედა (ანსაცმლის (ბალტოების) გასახდელი;

ე) შეარჩიონ ავეჯი (მერხები, მაგიდები, სკამები) მოსწავლეთა ასაკის, სიმაღლის, მხედველობისა და სმენის გათვალისწინებით;

ვ) მოსწავლეთა შორის პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვისა და ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად მოსწავლეებთან, მშობლებთან ჩაატარონ სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ინფექციურ დაავადებათა (დებინტერია, ქუნთრუშა, დიფტერია და სხვ.) პროფილაქტიკას;

ზ) სრულ წესრიგში მოიყვანონ შენობება და მათი ტერიტორია, უზრუნველყონ შენობების სისტემატური და რეგულარული დაგვა-დასუფთავება; განიავება, გათბობა. მოაწყონ ყველა საკლასო და საძინებელი ოთახის ცვლათა შორის დასუფთავება-განიავება, რისთვისაც ცვლათა შორის ნანგრძლიობა დაწესდეს არანაკლებ ერთი საათისა;

თ) სანიტარული კვანძების უკეთ მოწყობის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საპირფარეშოთა რაოდენობას, მათ სანიტარულ მდგომარეობას, ხელსაბნების მოწყობას. სისტემატურად ჩაატარონ აღნიშნული კვანძების დეზინფექცია, რისთვისაც იქონიონ ქლორიანი კირის მარაგი;

ი) გააძლიერონ მეთვალყურეობა კვების კვანძების სანიტარულ მდგომარეობაზე, მოაწესრიგონ ბავშვების მიერ საკვებისა და სასმელი წყლის მიღების ჰიგიენა;

კ) მოსწავლეთა ცხელი საუზმით უზრუნველსაყოფად. გაათართონ სასკოლო ბუფეტები, ხოლო იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არის არსებული ბუფეტები გადააკეთონ სასკოლო სასადილოებად. არ დარჩეს ხკოლა სასადილოს ან ბუფეტის გარეშე, მტკიცე კონტროლი დააწესონ პროდუქტების ასორტიმენტზე და უზრუნველყონ მოსწავლეები ცხელი საუზმით;

ლ) უზრუნველყონ ფიზიკური კულტურის დარბაზებისა და მოედნების მოწყობა. მოახდინონ მოსწავლეთა სამედიცინო ჯგუფებად დაყოფა და ამის შესაბამისად მოაწყონ მათთან მუშაობა;

მ) სასწავლო სახელოსნოები მოაწყონ მშრალ და ნათელ
ოთახებში. ხელსაწყო-იარაღები და დაზგები შეუფარდონ მოსწავ-
ლეთა ასაკსა და ფიზიკურ განვითარებას, მტკიცედ დაიცვან
უსაფრთხოების ტექნიკა და საწარმოო სანიტარიის წესები, სახე-
ლოსნოები უზრუნველყონ პირსაბნებითა და პირველადი დახმარების
მედიკამენტებით;

3) აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ზემოხსენებულ ყვე-
ლა დაწესებულების თანამშრომელთა საერთო კრებაზე.

4) ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვაველებთ საქარ-
თველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს
უფროსს ამხ. დ. ჯავახიას და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს
დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარების
სამმართველოს უფროსს ამხ. ლ. ირემიძეს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ ჯანმრთე-
ლობის დაცვის მინისტრი
ლ. ხაყვარელიძე

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მრავალგვ
უშ. ობოლაძე
9 აგვისტო, 1966 წელი

9/VIII—66 წ.

№ 9/544

მ ი თ ი თ ა ბ ა ნ ი

წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების შესახებ

1. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლება ეწყობა წერა-კითხვის უცოდინარი. მცირემცოდნე და რუსული ენის არმცოდნეთა ჯგუფის ან სუსტად მცოდნეთათვის.

2. სწავლებაში ჩასაბმელი 15—18 წლის წვევამდელი ახალგაზრდობის აღრიცხვას 25 აგვისტომდე უშუალოდ ატარებს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება; 18 წლის ზევით გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობას კი აღრიცხავს რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარიატი, რომელიც პირველად ამ კონტინგენტის სიას უგზავნის სახალხო განათლების განყოფილებას 25 აგვისტომდე, ხოლო საბოლოოდ დაზუსტებულ სიას—იანვრის ბოლოს (მიწერის დამთავრების შემდეგ).

შენიშვნა: წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენს რესპუბლიკაში მთლიანად ლიკვიდირებულია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობას შორის გამოვლინდება წერა-კითხვის თუნდაც ერთი უცოდინარი, განათლების განყოფილება დაუყოვნებლივ აბამს მას სწავლებაში და ამის შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. წერა-კითხვის უცოდინარი, მცირემცოდნე და რუსული ენის არმცოდნე გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობი, რომლებიც გამოვლინებული იქნებიან იანვარში, მიწერის პერიოდში, სწავლებაში დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ჩაბმულნი. მათთან მეცადინეობა ეწყობა

იმ ვარაუდით, რომ გაწვევამდე მოესწროს პროგრამული მასალის მთლიანად ათვისება.



4. განათლების ადგილობრივი ორგანოები აღრიცხავენ 4-დან 8 კლასამდე განათლების არმქონე, სწავლას ჩამოშორებულ, წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების რაოდენობას და იღებენ ყოველგვარ ზომას ზოგადსაგანმანათლებლო მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ან დაუსწრებელი საშუალო სკოლების შესაფერის კლასებში მათ ჩასაბმელად.

5. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება 25 აგვისტომდე აყალიბებს ჯგუფებს და გამოყოფს მათთვის მასწავლებლებს, რომელთაც ამზადებს სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, მეთოდური მითითებებითა და თვალსაჩინო მასალებით.

შენიშვნა: იმ ადგილებში, სადაც ჯგუფების შექმნა, კონტინგენტის სიმცირის გამო, შეუძლებელია, მეცადინეობა ეწყობა ინდივიდუალური სწავლების წესით.

6. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება ადგილობრივ ორგანოებთან ერთად გადამკრელ ზომებს ღებულობს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სახელმძღვანელოებით, საჭირო სასწავლო ნივთებით, სამეცადინო ბინით, ინვენტარით და გათბობა-განათებით უზრუნველსაყოფად.

7. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება პერიოდულად ამოწმებს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების მიმდინარეობასა და იღებს გადამკრელ ზომებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

8. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლება იწყება 1-ლ სექტემბერს

9. სასწავლო წელი გრძელდება 9 თვეს (1-ლი სექტემბრიდან 1-ლ ივნისამდე) გამოსაშვები გამოცდებისათვის საჭირო დროის ჩათვლით.

სასწავლო წელი იყოფა ორ ნახევარწლად: პირველი ნახევარი I/IX დან 31/XII მდე (შეიცავს 17 სასწავლო კვირას), მეორე 1/I-დან 1/VI-მდე (შეიცავს 20 სასწავლო კვირას).

10. სასწავლო გეგმით წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ სასწავლო წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 200, ხოლო არითმეტიკას—130 საათი; წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სწავლებისათვის სასწავლო

გეგმით გათვალისწინებულია 330 საათი. აქედან მშობლიურ ენაზე 145, არითმეტიკას — 125, გეოგრაფიას — 60 საათი.



შენიშვნა: წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც არ იციან რუსული ენა, გარდა ამ პარაგრაფში აღნიშნული საგნებისა, სწავლობენ რუსულ ენას, რომელსაც დამატებით ეთმობა 120 საათი.

11. რუსული ენის არმცოდნე ან სუსტადმცოდნე არარუსი წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები სწავლობენ მხოლოდ რუსულ ენას, რომელსაც ეთმობა 250 საათი.

12. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფები ყალიბდება 10—15 კაცის რაოდენობით.

შენიშვნა: ა) ადგილობრივი პირობების შესაბამისად, განათლებას განყოფილებებს, გამონაკლის შემთხვევაში, უფლება ეძლევათ წვევამდელთა შორის მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის ასიგნებული თანხების თარგმნაში აწარმოონ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება ჯგუფში მსმენელთა უფრო ნაკლებ (7—9 კაცი) რაოდენობაზე;

ბ) სადაც ადგილობრივი პირობების ან კონტინგენტის სიმცირის გამო შეუძლებელია ჯგუფის ჩამოყალიბება, მეცადინეობა იწარმოებს ინდივიდუალურა სწავლების წესით;

გ) მასწავლებლებს შრომის ხელფასი უნაზღაურდებათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, თუ ისინი ერთნაირი პროგრამით მუშაობენ; უნდა გაერთიანდნენ ერთ და იმავე ჯგუფში.

13. წერა-კითხვის ერთეული უცოდინარები და მცირემცოდნეთა ჯგუფები მეცადინეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული პროგრამებით, ხოლო რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფები — რსფსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

14. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სწავლებისათვის გამოიყენება დაწყებითი კლასების ის სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამება სათანადო საგნის პროგრამას, ხოლო რუსული ენის შემსწავლელ ახალგაზრდებისათვის პროფესორ სოვეტკინის რუსული ენის სახელმძღვანელო.

15. სკოლის დირექტორები ვალდებული არიან:

ა) წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობას 31 აგვისტომდე აცნობონ მეცადინეობის ადგილი და დრო;

ბ) დაესწრონ მსმენელთა მეცადინეობას მასწავლებელთა მუშაობაზე საჭირო კონტროლისა და მეთოდური დახმარების განხორციელების მიზნით;

გ) მსმენელთა მრერ მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის აღმოსაფხვრელად მიიღონ სათანადო ზომები.

16. პროგრამით გათვალისწინებული კურსის დამთავრების შემდეგ 24 მაისიდან 31 მაისამდე ტარდება გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1964 წლის 16 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციის— „წერა-კითხვის უცოდინარ, მცირემცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ“—საფუძველზე (იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 9—10, 1964 წელი).

შენიშვნა: წერა-კითხვის უცოდინარები და მცირემცოდნეები, რომლებიც აგრეთვე რუსულ ენას სწავლობენ, გამოცდას აბარებენ ამ საგანში (წერთსა და ზეპირს).

17. რუსული ენის შემსწავლელი წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები გამოცდას აბარებენ მხოლოდ რუსულ წერაში (წერთსა და ზეპირს).

18. პროგრამული მასალის ათვისებისა და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მსმენელებზე გაიცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო ნიმუშის ცნობა (იხილეთ ზემოაღნიშნული კრებული № 9—10).

19. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველი წლის 15 თებერვალს და 15 ივნისს უდგენენ ანგარიშს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალ-

გაზრდობის სწავლების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კითხვარის
ხედვით.

დანართი: სასწავლო გეგმა.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების.

სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

F-3061.




სასწავლო გეგმა

წერა-კითხვის უცოდინარი, მცირემცოდნე და რუსული ენის არმცოდნე ან სუსტამცოდნე წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობისათვის (1966—1967 სასწავლო წელი)

ჯგუფი	ს ა გ ა ნ ი	კვირეული საათ. რაოდენობა		წლიური საათების რაოდენობა
		I ნახევარი წელი	II ნახევარი წელი	
1. წერა-კითხვის უცოდინარი	1. ნშობ. ენა	6	5	200
	2. არითმეტიკა	3	4	130
	ს უ ლ			330
	2. მცირემცოდნე	1. მშობ. ენა	5	3
2. მცირემცოდნე	2. არითმეტიკა	4	3	125
	3. გეოგრაფია	0	3	60
	ს უ ლ			330
	4. რუსული ენა	7	7	120
	ს უ ლ			450
3. რუსული ენის შემსწავლელი	1. რუსული ენა	7	7	250

შენიშვნა: 1. წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობი, რომლებმაც არ იციან რუსული ენა, სწავლობენ რუსულ ენას, რომელსაც ეთმობა კვირაში 3 საათი, წლიური 120 საათი.

- 
2. სწავლების ვადა 9 თვეა, ჯგუფური მეცადინეობა ტარდება კვირაში სამ დღეს, სამი საათის ხანგრძლიობით.
 3. ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია საპროგრამო მასალის გავლას დაეთმოს უფრო მცირე დრო.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი რ. კანდედაკი

გ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

უმ. ობოლაძე

9 აგვისტო, 1966 წელი

9/VIII—66 წ.

№ 9/533

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე მოზრდილი მოსახლეობის სწავლების შესახებ

1. 16—40 წლის ასაკის წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე მოზრდილი მოსახლეობის აღრიცხვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მუშაკთა საშუალებით კარი კარ შემოვლით, პირადი გასაუბრების საფუძველზე ატარებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება. გამოვლინებულ ერთეულ უცოდინარებისა და მცირემცოდნეთა სიებს, საბოლოოდ, დაზუსტების მიზნით, უდარებს სასოფლო საბჭოში არსებულ საკომლო წიგნებს.

2. წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენს რესპუბლიკაში მთლიანად ლიკვიდირებულია, მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ მოზრდილ მოსახლეობაში გამოვლინდება წერა-კითხვის თუნდაც ერთი უცოდინარი, განათლების განყოფილება დაუყოვნებლივ აბამს მას სწავლებაში და ამის შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. განათლების განყოფილება 25 აგვისტომდე აყალიბებს წერა-კითხვის მცირემცოდნეთა ჯგუფებს და მათთვის, აგრეთვე ერთეული უცოდინარებისათვის, გამოყოფს სათანადო ცენზისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლებს. იმ ადგილებში, სადაც ჯგუფების შექმნა კონტინგენტის სიმცირის გამო, შეუძლებელი ხდება, მეცადინეობა ეწყობა ინდივიდუალური სწავლების წესით.

შენიშვნა: მასწავლებელთა ხელფასის ანაზღაურება ხდება მედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წერა-კითხვის უცოდინარებთან და მცირემცოდნეებთან სწავლება იწყება 1-ლ სექტემბერს, სასწავლო წელი გრძელდება 9 თვეს, 1-ლი სექტემბრიდან 1-ლ ივნისამდე. გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდებისათვის საჭირო დროის ჩათვლით.

შენიშვნა: ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია საპროგრამო მასალის გავლას დაეთმოს უფრო მცირე დრო.

5. სასწავლო წელი იყოფა ორ ნახევარწლად: პირველი ნახევარი 1/XI-დან 31/XII-მდე (შეიცავს 17 სასწავლო კვირას). მეორე 1/I-დან 1/VI-მდე (შეიცავს 20 სასწავლო კვირას).

6. სასწავლო გეგმით წერა-კითხვის უცოდინართა სწავლებისათვის წლის მანძილზე გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 200, არითმეტიკას 130 საათი.

7. სასწავლო გეგმით მცირემცოდნეთა სწავლებისათვის გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 145 საათი, არითმეტიკას—125, გეოგრაფიას—60.

8. წერა-კითხვის მცირემცოდნე ჯგუფები ყალიბდება 10—15 კაცის რაოდენობით.

9. წერა-კითხვის ერთეული უცოდინარები და მცირემცოდნეთა ჯგუფები მეცადინეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული პროგრამებით და სასწავლო გეგმებით.

10. სკოლის დირექტორები ვალდებული არიან:

ა) წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეებს 31 აგვისტომდე აცნობონ მეცადინეობის ადგილი და დრო;

ბ) დაესწრონ მსმენელთა მეცადინეობას და გაუწიონ საჭირო მეთოდური დახმარება მასწავლებლებს;

გ) მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენის წინააღმდეგ მიიღონ სათანადო ზომები.

პროგრამით გათვალისწინებული კურსის დამთავრების შემდეგ 24 მაისიდან 31 მაისამდე ტარდება გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1964 წლის 16 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციის „წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შესახებ“—



საფუძველზე (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 9—10, 1964 წელი).

1. პროგრამული მასალის ათვისებისა და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ. მსმენელებზე გაიცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო ნიმუშის ცნობა (იხილეთ ზემოაღნიშნული კრებული, № 9—10, 1964 წელი).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები ყოველი წლის 15 ივლისისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უდგენენ მოხსენებით ბარათს მობრძიდ მოსახლეობაში ამ შიმშირთულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დანართი: სასწავლო გეგმა.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

16—49 წლის მთავრდელი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინართა
 და მცირემცოდნეთა ჯგუფების სასწავლო გეგმები 1966—67 სას-
 წავლო წლისათვის

№	ჯგუფები	საგანი	ჯგირეული საათ. რაოდ.		წლიური საათების რაოდენ- ობა	შენიშვნა
			I ნახევარი წელი	II ნახევარი წელი		
1.	წერა-კითხვის უცოდინარი	1. მშობლიუ- რი ენა	6	5	200	
		2. არჩემეტიკა	3	4	130	
					330	
2.	მცირემცოდნე	1. მშობლიუ- რი ენა	5	3	145	
		2. არჩემეტიკა	4	3	125	
		3. გეოგრაფია	0	3	60	
					330	

შენიშვნა: 1. სწავლების ვადა 9 თვეა. ჯგუფური მეცადინეო-
 ბა ტარდება კვირაში სამ დღეს, სამი საათის
 ხანგრძლიობით.

2. ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია
 საპროგრამო მასალის გავლას დაეთმოს უფრო
 მცირე დრო.

— სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების
 სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1966 წლის 11 აგვისტოს ბრძანება № 910

საგზაო საფრთხის შემცირების ღონისძიებათა შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების საფუძვლიანად შესწავლისა და ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა (გამგებმა):

ა) ჩამოაყალიბონ ქუჩაში მოძრაობის წესების შემსწავლელი წრეები და უზრუნველყონ მათში ყველა მოსწავლის ჩაბმა; წრეების ხელმძღვანელებად გამოყოფილმა მასწავლებლებმა სისტემატური კავშირი დაამყარონ სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საინსტრუქციო მითითებებისა და მასალების მისაღებად. მუშაობა წარმართონ თანდართული სასწავლო გეგმისა და პროგრამის მიხედვით.

ბ) მშობელთა საერთო კრებაზე ჩაატარონ საუბრები მოსწავლეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვისა და ამ საქმეში მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ;

გ) სკოლებში თვალსაჩინო ადგილას მოაწყონ მოძრაობის წესების შესახებ სპეციალური კუთხე პლაკატებითა და სხვა საჭირო მასალით;

პერიოდულად ჩაატარონ საკონტროლო კარნახი ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ;

დ) მოაწყონ ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ კინოფილმების ჩვენება;

ე) უზრუნველყონ ბავშვთა ტრავმატიზმისა და ქუჩაში მოძრაობის უხეშ დარღვევათა შემთხვევების განხილვა კლასის, კომკავშირის კრებებსა და პიონერთა შეკრებებზე;

გ) მოსწავლეთა ქცევის, ქუჩაში მოძრაობის წესების სანიმუშოდ შესრულებისა და მისი დარღვევის შემთხვევებში გააუქმების კედლის გაზეთებში;

ზ) გააძლიერონ სკოლაში მასწავლებელთა და მშობელთა აქტივის მორიგეობა დასვენების დროს და უმცროსი კლასების მოსწავლეთათვის სკოლაში მოსვლისა და წასვლის საათებში.

2. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ:

ა) რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონისპექციასთან ერთად გადასინჯოს ქუჩაში მოძრაობის წესების სასწავლო გეგმა და პროგრამა იმ ვარაუდით, რომ ყველა კლასის მოსწავლეთა სავალდებულო მომზადების მიზნით თვითნებულ კლასში ჩატარდეს 6—8 საათიანი მეცადინეობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საერთო საათების ფარგლებში;

ბ) თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოსთან ერთად გადასინჯოს და გამოსაცემად მოამზადოს მეთოდური სახელმძღვანელო ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ.

3. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. გ. ტყემალაძე) 1966—67 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს ქუჩაში მოძრაობის წესების მეთოდური სახელმძღვანელო გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) რესპუბლიკის რაიონული ბაზები უზრუნველყოს მოსწავლეთა ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ არსებული სასწავლო ფილმებითა და დიაფილმებით.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 29 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 13 აგვისტოს ბრძანება № 915

1966 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე
განაწილების შესახებ

გავეცანი რა მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1966 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების მუშაკებთან ერთად, ფართო მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა და სხვა ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტიდან დღეისათვის სამუშაოზე განაწილებულია 1000-ზე მეტი სპეციალისტი.

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადებისა და ადგილებზე დამაგრების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწყონ დამწყებ მასწავლებლებთან ორგანიზებულად შეხვედრა, გააცნონ მათ სკოლია და მასწავლებლის წინა შემდგომი ახალი ამოცანები;

ბ) უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების დროული გამგზავრება სამუშაო ადგილზე;



გ) დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდურ და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე სპეციალური დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებებისა და მეთოდური კაბინეტის მუშაკები და დახელოვნებული მასწავლებლები;

დ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით;

ე) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მიიღონ საჭირო ზომები, რათა სოფლად მივლინებული მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნენ უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინით, გათბობით და განათებით);

ვ) დაწყებით კლასებში მასწავლებლებად პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული უმაღლესი განათლების მქონე დაწყებითი განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები;

ზ) იმის გამო, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად ახალგაზრდა სპეციალისტს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი მიეცემა ადგილზე ერთი წლის მუშაობის შემდეგ, სადა მუშაოზე გამოცხადებული ახალგაზრდა სპეციალისტები საგზურთან ერთად განათლების განყოფილებას უდგენენ დროებით მოწმობას უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, განათლების განყოფილებებმა ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი დროებითი მოწმობა შეინახონ ცეცხლგამძლე ყუთში და სათანადოდ შემოწმებული დაუბრუნონ ახალგაზრდა სპეციალისტს მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის ვასვლის შემდეგ;

თ) კატეგორიულად აეკრძალოთ ხელზე მისცენ ახალგაზრდა სპეციალისტებს რაიმე მიმართვა, ან ბრძანების პროექტი სამუშაოდან განთავისუფლების და ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანის შესახებ.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურის მიღების შესახებ დასტური და წერილობითი ანგარიში თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ. ამავე რიცხვისათვის წარმოადგინონ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;

ბ) მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე აცნობონ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების რექტორებს თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ: ამავე რიცხვისათვის გადმოუგზავნონ მათ სამუშაოზე გამოცხადებულ ახალგაზრდა სპეციალისტის საგზურის მიღების შესახებ დასტური;

გ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებიდან სამი წლის გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც არ ექნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზური, ან უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ცნობა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს მიცემული აქვს სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება; აღნიშნული საბუთის გარეშე ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე მიღებისათვის დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული იქნება სასჯელის ზომა გათვალისწინებული ზემდგომი ორგანოების დადგენილებით;

დ) ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც წესი ვალდებულია ადგილზე იმუშაოს არა ნაკლებ სამი წლისა, მაგრამ თუ იგი არ გამოცხადდა სამუშაოზე, ან მისი განთავისუფლება სხვადასხვა მიზეზის გამო, სამ წელზე ადრე აუცილებლად საჭირო შეიქმნა, მათ სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი დააყენონ (გადაწყვიტონ) ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ მიღებული გადასაყვანი ხარჯების დაბრუნების შემდეგ.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე):

ა) მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე დაამთავროს დღემდე გაუნაწილებელი ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დანიშვნა;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს პერიოდულად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 12 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე უ.შ. ოზოლაძე

**საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის
დაცვის სამინისტროების 1966 წლის 19 აგვისტოს ბრძა-
ნება № 929/ა81/ი**

**სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეთა
ჰიგიენური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

როგორც საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში არსებული მასალებით დასტურდება, ამ ბოლო დროს, რესპუბლიკის სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჰიგიენის საკითხების სწავლება და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სკოლაში ამ საქმეს ჯერ კიდევ უყურადღებოდ, ზერელედ ეკიდებიან. ეს იქიდან ჩანს, რომ საპროგრამო მასალის სწავლების დროს არ იყენებენ თვალსაჩინოებას, არ აწარმოებენ განვლილი მასალის აღრიცხვას, მეთოდგაერთიანების სხდომებზე არ იხილავენ ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესების საკითხებს და სხვ.

მედიცინის მუშაკები იშვიათად მონაწილეობენ კლასგარეშე საგანმანათლებლო ღონისძიებებში და არც მშობელთა შორის ჰიგიენის საკითხების პროპაგანდას უთმობენ სათანადო ყურადღებას.

ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის საქმის უკეთ ორგანიზებისათვის, აგრეთვე მასწავლებლებსა და მშობლებს შორის სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

§ 1

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა;

ა) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლებასა და მოსწავლეთა ჰიგიენურ აღზრდას. ამაღლონ სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1966—67 სასწავლო წლის პირველ ნახევარში ჯანდაცვის ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, სკოლებში (შერჩევით) ჩატარონ ჰიგიენის საკითხების სწავლების და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის მდკომარეობის შემოწმება და შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიის, განათლებისა და სამედიცინო სანიტარულ საბჭოების სხდომებზე;

ბ) პირველ და მეოთხე კლასებში სწავლების პროცესში ყურადღება გაამახვილონ ბავშვებში პირველადი ჰიგიენური ცოდნა-ჩვევების გამომუშავებაზე, სისტემატურად შეამოწმონ, თუ რამდენად პრაქტიკულ ხასიათს ატარებს მოსწავლეთა მიერ მიღებული ჰიგიენური ცოდნა-ჩვევები და განაზოგადონ ამ მხრივ სანიმუშო მდგომარეობაში მყოფი სკოლების გამოცდილება.

გ) შექმნან აუცილებელი პირობები სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დასაცავად, უზრუნველყონ სკოლები პირსახიოთ, საპონით, პირსახოცით და ტუალეტის სხვა საგნებით;

დ) მასობრივად ჩააბან მოსწავლეები სანიტარული კულტურის ამალღებისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებებში. IV—VII კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით შექმნან „სისუფთავის პატრულის“ წრეები, რომელთა წევრები სკოლის ახლო მდებარე მიკროუბნებში იმორიგებენ;

ე) სკოლებისა და პიონერთა სახლების თვითმოქმედი წრეების რეპერტუარში გაითვალისწინონ ჰიგიენური პროპაგანდის სანახაობრივი ფორმები (პიესების დადგმა, სიმღერები, ლექსები, კარნავალები და სხვა).

2. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) სასკოლო პროგრამების შესაბამისად უზრუნველყოს სახელმძღვანელოებსა და საკითხავ წიგნებში ჯანმრთელობის დაცვის მასალების შეტანა და მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰიგიენური აღზრდის საკითხებზე მეთოდური ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალების გამოშვება.

3. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. ზახაშვილი) მასწავლებელთა, სკოლამდელი აღზრდის და საბავშვო დაწესებულებათა აღზრდელებისათვის სემინარების პროგრამებით გაითვალის-



წინოს სასკოლო ჰიგიენისა და სანიტარიის ძირითადი საკითხები განხილვა.

4. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებას“ რედაქციამ სისტემატურად გამოაქვეყნოს სტატიები და მეთოდური წერილები მოს. წავლეთა ჰიგიენური აღზრდის საკითხებზე.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ თავის ფურცლებზე სისტემატურად გააშუქოს ბავშვთა ჰიგიენური აღზრდისა და სასკოლო სანიტარიის ძირითადი საკითხები.

§ 2

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქების ჯანდაცვის განყოფილების გამგეებმა და რაიონების მთავარმა ექიმებმა:

ა) გადაჭრით გადაღიერონ დახმარება და კონტროლი ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის მტკიცედ დაცვაზე.

ბ) ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოების მუშაკების მეშვეობით სასკოლო ინსპექტორებთან ერთად, შერჩევით, ყოველწლიურად წლის პირველ ნახევარში ჩაატარონ სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლების და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის მდგომარეობის შემოწმება.

2. ჯანდაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა და მშობელთა შორის ჰიგიენური საკითხების პროპაგანდას კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხაზით და ამ მიზნით რეგულარულად ჩაატარონ ლექციები, საუბრები, კინოხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარული განათლების სახლმა წლის ბოლოსათვის მოამზადოს მეთოდური წერილი „სკოლების პროფილაქტიკა“.

§ 3

კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსს ამხ. დ. ჯავახიას და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს სანებიდსამმართველოს უფროსს ამხ. ვ. ბადაშვილს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
უშ. თბოლაძე

საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე
ს. ცომიაია

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1966 წლის 29 სექტემბრის ბრძანება № 1104**

**საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების
V რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ**

აღენიშნავ, რომ საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების V რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომლის დასკვნითი ღონისძიებანი მოეწყო 1966 წლის 2—7 ივლისს ქალაქ თბილისში, წარმატებით მიმდინარეობდა. იგი, წინა ოლიმპიადასთან შედარებით, გამოირჩეოდა უკეთესი ორგანიზაციითა და მასობრიობით. თუ IV რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ღონისძიებებში მონაწილეობდა 2500-მდე მოსწავლე, მე-5 რესპუბლიკურ ოლიმპიადის ამავე ღონისძიებებში 11.000 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა; IV ოლიმპიადის დასკვნით ეტაპზე მხოლოდ ათამდე კოლექტივი იყო წარმოდგენილი, V რესპუბლიკურ ოლიმპიადაში კი ორასამდე კოლექტივი.

V რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ პირველად მოიცვა სასკოლო მხატვრული თვითმოქმედების თითქმის ყველა სახეობა: (სახვითი ხელოვნება მრავალფეროვანი დარგებით; ნორჩი მუსიკოს-შემსრულებლები; მხატვრული კითხვის ნორჩი ოსტატები, დრამატიული და თოჯინების თეატრები; მოსწავლეთა საოპერო და საბალეტო წარმოდგენები; საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივები და სხვ. მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ამ ოლიმპიადაზე მნიშვნელოვნად უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე წინათ, სოფლის საშუალო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედება მისი სხვადასხვა დარგებით.

V რესპუბლიკური ოლიმპიადა ყურადღებით მოეკიდა მუსიკისა და ქორეოგრაფიის დარგში საბავშვო რეპერტუარის შექმნასა და დანერგვას. თუ IV რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მხოლოდ ქ. ჭიათურამ შეძლო მოემზადებინა რამდენიმე საბავშვო ქორეოგრაფიული ნომერი, V რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ეტაპზე კოლექტივებმა და ანდივიდუალურმა შემსრულებლებმა რო-

გორც ქორეოგრაფიაში ისე საგუნდო-მუსიკალურ სახეობაში მხატვრულ კითხვაში და სხვ. მრავლად გამოიტანეს ისეთი რეპერტუარი, რომელიც სასკოლო მოთხოვნებს შეესაბამება; ოლიმპიადისათვის ქორეოგრაფიასა და მუსიკაში სპეციალურად შეიქმნა ბევრი საბავშვო ნაწარმოები, ქალაქებისა და რაიონების დიდ ნაწილში დადგენილი განრიგის მიხედვით მწყობრად და შინაარსიანად ტარდებოდა მოწინავე სასკოლო კოლექტივების დათვალეირებანი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქ. ქ. თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი, გორი, ხაშურის, თელავის, სამტრედიის, ქვემო სვანეთის, ქობულეთის, მახარაძის, ცხაკაი-ს, ზუგდიდის, გურჯაანის, ლანჩხუთის, გუდაუთის და სხვ. რაიონები.

 2. კასპის I-ლი საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდს (გუნდის ხელმძღვანელი ალ. მენაბდიშვილი)

3. საგარეჯოს I-ლი საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი ივანე მჭედლიშვილი, ქორეოგრაფი რაფი მიხეილ ლაფაჩიშვილი)
4. საჩხერის მე-2 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულ კოლექტივს (ქორეოგრაფი კობახიძე)
5. საჩხერის I-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულ კოლექტივს (ქორეოგრაფი ცარციძე)
6. მუხრანის რაიონის ძველი ქანდის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულ კოლექტივს
7. ყაზბეგის საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი თოფაძე, ქორეოგრაფი ვალიშვილი)
8. თელავის მე-2 საშუალო სკოლის ვოკალურ კვარტეტს (ხელმძღვანელი ჯ. სახივეი)
9. ახალციხის პირველი საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდს (გუნდის ხელმძღვანელი ალთუნაშვილი)
10. ყვარლის მე-2 საშ. სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლს (ქორეოგრაფი დიასამიძე)
11. ყვარლის პირველი საშ. სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლს (ქორეოგრაფი ფუტკარაძე)
12. ცაგერის საშ. სკოლის მომღერალთა გუნდს (გუნდის ხელმძღვანელი ზეჭი ყურაშვილი)
13. ხაშურის მე-3 საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი ს. ლაზაროშვილი, ქორეოგრაფი კუპრაძე)
14. ხაშურის I-ლი საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი იაშვილი)
15. აბაშის პირველი საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი ჩოჩია)
16. წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირის საშ. სკოლის მომღერალთა გუნდს (ლოტბარი გ. ჩახუნაშვილი)
17. წყალტუბოს I-ლი საშ. სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლს (ქორეოგრაფები: ჯ. იოსელიანი და ო. ჩიქვილაძე)
18. ზესტაფონის მე-3 საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი ღონღაძე ლიანა იასონის ასული, ქორეოგრაფი აბრამიშვილი)
19. წულუკიძის მე-2 საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი კობალეიშვილი, ქორეოგრაფი ჩხენკელი)
20. წულუკიძის რაიონის სოფ. კუხის საშ. სკოლის ქორეო-



გრაფიულ კოლექტივს (ქორეოგრაფი რატიანი სულიკოლის ძე)

21. ამბროლაურის I-ლი საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ნსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი ჯ. გოცირიძე, ქორეოგრაფები: დოლონაძე და ბახტაძე)
22. თელავის მე-4 საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (გუნდის ხელმძღვანელი ფ. მახათელაშვილი, ქორეოგრაფი ზ. მურველაშვილი)
23. თელავის მე-3 საშ. სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (მხატვრული ხელმძღვანელი ე. ყარალაშვილი, ქორეოგრაფები: მიხ. რაქვიაშვილი, ო. ფეიქრიშვილი).

ბ) ინდივიდუალურ შემსრულებლებს

1. ვარდოსანიძე გოგი შაქროს ძეს—ველისციხის საშ. სკოლის მოსწავლეს
2. სპოიანს ვართიშეკი ვარაპეტის ძეს—ბოგდანოვკის რაიონის ჯიგრაშენის საშ. სკოლის მოსწავლეს
3. ბენიაშვილს ნელი ლევანის ასულს—მცხეთის რაიონის საგურამოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეს
4. კაკიაშვილს მარინე დანიელის ასულს—ქარელის მე-2 საშ. სკოლის მოსწავლეს.

II. თეატრალურ კოლექტივებს

1. ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის თეატრალურ კოლექტივს სპექტაკლისათვის „სასწაული შუადღეს“

ა) მხატვრული კითხვისა და თეატრალური კოლექტივების მონაწილეებს

1. ყიფიანს ცაგრინა აკაკის ასულს—ხესტაფონის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თეატრალური კოლექტივის წევრი
2. ჭეიშვილს თამაზ გრიგოლის ძეს—თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე
3. ჯიოვეს შოთა ელიოზის ძეს—ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დრამატული წრის წევრი
4. დერეპასოვს აკიმ ნიკოლოზის ძეს—ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დრამატული წრის წევრი
5. იაშინს ალექსი ვლადიმერის ძეს—თბილისის 47-ე საშ. სკოლის მოსწავლე



- 6. ლოშიძეს მერაბ გვიის ძეს—ტყებულის მე-4 საშ. სკოლის მოსწავლე
- 7. ზაქაიძეს თინა პავლეს ასულს—თიანეთის I-ლი საშ. სკოლის მოსწავლე
- 8. კუდიკოვას მარინე მარკის ასულს—წითელწყაროს რუსული საშ. სკოლის მოსწავლე
- 9. ლობჯანიძეს დოდო მიხეილის ასულს—ლაგოდეხის რაიონის თამარიანის საშ. სკოლის მოსწავლე
- 10. ფანცულაიას კლარა სერგოს ასულს—გეგეჭკორის მე-2 საშ. სკოლის მოსწავლე
- 11. გამყრელიძეს იზოლდა პორფილეს ასულს—ონის I-ლი საშ. სკოლის მოსწავლე.

III. ნორჩ-მუსიკოს შემსრულებლებს:

- 1. მესხიშვილს მარინა ადამის ასულს—თბილისის 122-ე საშ. სკოლის მოსწავლე
- 2. მალრაძეს ოთარი დავითის ძეს—თბილისის 37-ე საშ. სკოლის მოსწავლე
- 3. კეთილაძეს ზურაბ აქვსენტის ძეს—ქუთაისის მასწავლებელთა სახლის მუსიკალური ათწლედის მოსწავლე
- 4. ალავერდოვს მანანა ლევანის ასულს—თბილისის 87-ე საშ. სკოლის მოსწავლე
- 5. კაპანაძეს მანანა შალვას ასულს—თბილისის მე-60 საშ. სკოლის მოსწავლე
- 6. წულაიას რუსუდან გიორგის ასულს—სოხუმის მე-5 საშ. სკოლის მოსწავლე
- 7. აკობიძეს მიმოზა რევაზის ასულს—სოხუმის მე-5 საშ. სკოლის მოსწავლე.

IV. სახვით ხელოვნების ნორჩ ოსტატებს:

- 1. თვარაძეს რომანი ვლადიმერის ძეს—თბილისის 65-ე საშ. სკოლის მოსწავლე
- 2. კეპაშვილს გიორგი ირაკლის ძეს—თბილისის 65-ე საშ. სკოლის მოსწავლე
- 3. რავიშოვს ვავიფ რამაზის ძეს—თბილისის 65-ე საშ. სკოლის მოსწავლე
- 4. გეორქოვს რომან რომანის ძეს—თბილისის 65-ე საშ. სკოლის მოსწავლე



5. მეღჭოიანს სერგო გამლეტის ძეს—თბილისის 33-ე საშ. სკოლის მოსწავლე
6. მარჯარიანს კარინა ვარტყენის ასულს—თბილისის 33-ე საშ. სკოლის მოსწავლე
7. აბგარიანს ანა არტაშის ასულს—თბილისის 33 ე საშ. სკოლის მოსწავლე
8. გლურჯიძეს თეიმურაზ ელიზბარის ძეს—თბილისის 126 ე საშუალო სკოლის მოსწავლე
9. ცხონდიას მარინე იურის ასულს—თბილისის 126-ე საშ. სკოლის მოსწავლე
10. ვარძელუკოვს ედუარდ გიორგის ძეს—თბილისის 32 ე საშ. სკოლის მოსწავლე
11. მარკაზიანს აშოტ სერიოჟას ძეს—თბილისის 32-ე საშ. სკოლის მოსწავლე
12. არუთინოვს ვალოდია გაბოს ძეს—თბილისის 32-ე საშ. სკოლის მოსწავლე
13. მჭედლიძეს ნუნუ დიმიტრის ასულს—თბილისის 31-ე საშ. სკოლის მოსწავლე
14. ლეჭენიძეს თეიმურაზ ირაკლის ძეს—თბილისის 31-ე საშ. სკოლის მოსწავლე
15. ლომთათიძეს ავთანდილ ამირანის ძეს—თბილისის მე-6 საშ. სკოლის მოსწავლე
16. ლომიძეს ზაია ალექსანდრეს ასულს—თბილისის 33-ე საშ. სკოლის მოსწავლე
17. მელაძეს თეიმურაზ მალაქიას ძეს—თბილისის მე-4 საშ. სკოლის მოსწავლე
18. ბანძელაძეს ლალი გელას ასულს—თბილისის 23-ე საშ. სკოლის მოსწავლე
19. ხანგულიანს სერგო არტაშის ძეს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე
20. თუმანიანს ვლადიმერ იოსების ძეს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე
21. გორდეზიანს სტეფანე რობერტის ძეს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე
22. ელბაქიძეს დავით ნიკოლოზის ძეს—თბილისის 31-ე საშ. სკოლის მოსწავლე
23. სეირანიანს სურენ ვაშაკის ძეს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე

24. პაპაივს იაკობ ლავრენტის ძეს—თბილისის 43 ე საშ. სკოლის მოსწავლე
25. ატოევს კონსტანტინე ლევანის ძეს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე
26. მეძმარიაშვილს მარინა ირაკლის ასულს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე
27. ოხრიელს ვიქტორ ვალერიანის ძეს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის მოსწავლე
28. წულაიას მურმან ლევანის ძეს—თბილისის 31-ე საშ. სკოლის მოსწავლე
29. სახამბერიძეს გია ლევანის ძეს—თბილისის 61-ე საშ. სკოლის მოსწავლე
30. ვარდოსანიძეს ლევან ნოდარის ძეს—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოსწავლე
31. კალაშიანს მიხეილ გიორგის ძეს—თბილისის 78-ე საშ. სკოლის მოსწავლე
32. ნოზაძეს გიორგი გიორგის ძეს—ხაშურის I-ლი საშ. სკოლის მოსწავლე
33. მჭედლიშვილს ნუგზარ ავთანდილის ძეს—ქარელის საშ. სკოლის მოსწავლე
34. ივანოვას ოლგა ანდესის ასულს—სოხუმის მე-12 საშ. სკოლის მოსწავლე
35. შენგელიას გურამ დავითის ძეს—სოხუმის მე-12 საშ. სკოლის მოსწავლე
36. ნოსენკოს მერაბ გიორგის ძეს—ტყვარჩელის მე-3 საშ. სკოლის მოსწავლე
37. სანიკიძეს მაყვალა პავლეს ასულს—ვანის საშ. სკოლის მოსწავლე
38. ყიფიანს გურამ გივის ძეს—ვანის საშ. სკოლის მოსწავლე
39. ავაჯანიანს დალი გრიგოლის ასულს—ამბროლაურის საშ. სკოლის მოსწავლე
40. ბოკორიშვილს თეონულდი ავთანდილის ასულს—ამბროლაურის საშ. სკოლის მოსწავლე
41. მგალობლიშვილს ბესიკ ვლადიმერის ძეს—ცხაკაიას მე-2 საშ. სკოლის მოსწავლე
42. დემურიას მურმანი მირიანის ძეს—ცხაკაიას მე-2 საშ. სკოლის მოსწავლე
43. დოღონაძეს მიხეილ ნოდარის ძეს—ქუთაისის 22-ე საშ. სკოლის მოსწავლე

44. შოდღერიშვილს თეიმურაზ გაბრიელის ძეს—ჭუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე
45. გუჯაბიძეს დავით ივანეს ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
46. კოტრიკაძეს ათანდილ გიორგის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
7. ბაქრაძეს გიორგი ვასილის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
48. შველიძეს ვაჟა ნოდარის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
49. ჩლაიძეს გივი გივის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
50. კობერიძეს გივი ავთოს ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
51. ქოჩიშვილს იური ათანდილის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
52. გეჯაძეს ალექო თენგიზის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
53. კვარაცხელიას თენგიზ ვასილის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
54. კირტავას ვაჟა ნოდარის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
55. ლილუაშვილს ლევან მერაბის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
56. გოგიძეს თემური გიორგის ძეს—თბილისის 62-ე საშ. სკოლის მოსწავლე
57. სირბილაძეს ვალერი გივის ძეს—თბილისის მე-8 საშ. სკოლის მოსწავლე
58. ჭიკაძეს მერი ირაკლის ასულს—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე
59. დეკანოზიშვილს მზია არსენის ასულს—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე
60. ოზბეთელაშვილს ნათელა ვასილის ასულს—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე
61. გოგავას გიორგი შოთას ძეს—სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე
62. მიქაძეს ლალი დავითის ასულს—სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე

63. ცატიაშვილს ნანული იოსების ასულს—ყვარლის რაიონის ახალსოფლის საშ. სკოლის მოსწავლე
64. ფირანიშვილს მედეა ვარლამის ასულს—ყვარლის რაიონის ახალსოფლის საშ. სკოლის მოსწავლე
65. მაისურაძეს თინა იაკობის ასულს—ყვარლის რაიონის ახალსოფლის საშ. სკოლის მოსწავლე
66. დათაშვილს გაბრიელ ლევანის ძეს—კასპის რაიონის მეტეხის საშ. სკოლის მოსწავლე
67. მეტრეველს თენგიზ დიმიტრის ძეს—ყვარლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე
68. არაქელოვს ლამარა სერგოს ასულს—მცხეთის რაიონის ქსნის საშ. სკოლის მოსწავლე
69. ელბაქიძეს ნუგზარ დავითის ძეს—გორის მე-7 საშ. სკოლის მოსწავლე
70. ფეიქრიშვილს ჯემალ ივანეს ძეს—კასპის რაიონის ზემოხანდაკის საშ. სკოლის მოსწავლე.

საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული
თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის
ქიურის თავმჯდომარე, პროფესორი გრ. ჩხიკვაძე

1966 წლის 8 ივლისი

ცირკულარული წერილი

3/IX—1966 წ. № 1006

ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დამამთავრებელი X და XI კლასების მოსწავლეთა სხვა სკოლებში გადაყვანის აკრძალვის შესახებ

კატეგორიულად აიკრძალოს ყველა ტიპის სკოლის დამამთავრებელი X და XI კლასების მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადასვლა.

გამონაკლისის სახით ჯანმრთელობის ან ოჯახური პირობების გამო დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა სხვა სკოლებში გადასვლა მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით, მაგრამ ეს მოსწავლენი კარგავენ მედლის მიღების უფლებას.

2. სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასში იმ ერთეული ახალგაზრდების მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს, რომელთაც სწავლაში ხანგრძლივი წყვეტის (სამი და მეტი წელი) გამო არა აქვთ საბუთი განათლების შესახებ, წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

3. წარმოებაში დასაქმებული და სხვითა. არიმიიდან დემობილიზებული სათანადო საბუთების მქონე ახალგაზრდების სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში ჩარიცხვა უშუალოდ აწარმოონ ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგეებმა.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) და სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებაზე.

5. სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) ამ ბრძანების შესაბამისად გადაამუშაოს



„მითითებანი საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“.

6. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა დაუყოვნებლივ გააცნონ ეს ბრძანება ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ხელმძღვანელობას.

საქართველოს სსრ განათლების
 მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ვაჭკობები
საქ. სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე უმ. ობოლაძე
1966 წ. 27/V

თბილისის განათლების განყოფილების მხატვრული აღზრდის სახლის

ღ ე ბ უ რ ე ბ ა

§ 1

თბილისის განათლების განყოფილების მხატვრული აღზრდის სახლი არსებობს, როგორც დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში მეთოდურ-პედაგოგიური ხელმძღვანელობის ცენტრი და მუშაობს თბილისის განათლების განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობით.

მხატვრული აღზრდის სახლი პრაქტიკულად ხელმძღვანელობს თბილისში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მხატვრული აღზრდის საქმეს და უწევს ამ დარგში დასაქმებულ მუშაკებს სათანადო დახმარებას მხატვრული აღზრდის მოთხოვნილების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

მხატვრული აღზრდის სახლი მუშაობს თბილისის განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმისა და მითითებების შესაბამისად.

§ 2

I. თბილისის მხატვრული აღზრდის სახლის მუშაობა შემდეგით განისაზღვრება:

1. თბილისის სკოლამდელთა დაწესებულებებში, რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში ესთეტიკური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესება და ესთეტიკური კულტურის ამაღლება;

2. მხატვრული ესთეტიკური აღზრდის დარგში პედაგოგიური სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის, პროგრამების, დოკუმენტაციის მასალების შედგენა-დამუშავებაში მონაწილეობის მიღება;

3. მხატვრული აღზრდის განხრიანი სკოლების, მუსიკალური ჯგუფების განყოფილებების, სკოლისგარეშე დაწესებულებების მხატვრული აღზრდის დარგების ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობა;

4. საქალაქო მნიშვნელობის ღონისძიებების, მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადების ჩატარება, სახვითი ხელოვნების გამოფენების მოწყობა, კონკურსების, კონფერენციების, შეკრებების და სხვა საქალაქო მნიშვნელობის ღონისძიებათა ორგანიზება-ჩატარება;

5. ქ. თბილისის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელთა დაწესებულებების მუშაობის შესწავლა მხატვრული აღზრდის დარგში და განსახილველად საკითხების მომზადება თბილისის განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებისათვის;

6. გამოცდილების გაზიარების მიზნით მკიდრო კავშირის დამყარება სსრ, სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების შესაბამისი დარგების მუშაკებთან.

II. ამასთან ერთად:

ა) მხატვრული აღზრდის სახლი აყალიბებს ექსპერიმენტულ შემოქმედებით კოლექტივებს (წრეებს), რომლის მიზანია მუშაობის ახალი აკადემიური ფორმების შემოწმება, განზოგადება და დანერგვა.

ბ) შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობის სტაბილურობისა და მათი საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით თბილისის მხატვრული აღზრდის სახლს უფლება ეძლევა მისთვის დამტკიცებული ბიუჯეტით სხვადასხვა ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ხარჯებით ქალაქის განათლების განყოფილების დასტურით საზამთრო არდადეგების დროს ორი კვირით, ხოლო საზაფხულო არდადეგების დროს ერთი თვით—თვენახევრით მოაწყოს საბანაკო შეკრებები სააგარაკო ადგილებზე ქალაქ გარეთ.

გ) ესთეტიკური ციკლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მხატვრული აღზრდის სახლი აყალიბებს მომღერალ მასწავლებელთა გუნდს, სიმფონიურ ორკესტრს, ქორეოგრაფიულ ანსამბლს და სხვა.

დ) მხატვრული აღზრდის სახლთან იქმნება მუსიკალური საკრავების საამწყობო სახელოსნო, რომელიც უზრუნველყოფს სიკალური საკრავების შეკეთებას სკოლებსა და სკოლისგარეშე, სკოლამდელთა და სხვა დაწესებულებებში.

§ 3

მხატვრული აღზრდის სახლის შტატი

1. მხატვრული აღზრდის სახლის შტატი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სამხატვრო ხელმძღვანელის, სექციათა ხელმძღვანელების, პედაგოგ მეთოდისტებისა, საფინანსო დარგის მუშაკ ბისა, დამმარე ტექნიკური პერსონალის და წრეების ხელმძღვანელებისაგან, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის შესაბამისად.

2. მათგან თბილისის განათლების განყოფილება ნიშნავს სათანადო ბრძანებით: მხატვრული აღზრდის სახლის დირექტორს, რომლის კანდიდატურა შეთანხმებული უნდა იქნეს განათლების სამინისტროსთან, დირექტორის მოადგილეს, მხატვრულ ხელმძღვანელს, დირექტორის თანაშემწეს — ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში, სექციების ხელმძღვანელებს და უფროს ბუღალტერს.

დანარჩენი თანამშრომლები შედიან სახლის დირექციის ნომენკლატურაში და ინიშნებიან დირექტორის მიერ.

3. მხატვრული აღზრდის სახლის თანამშრომლები მუშაობენ სახლის გეგმითა და დირექტორის მიერ მოცემული დავალებით.

§ 4

სახსრები და იურიდიული უფლებანი

1. მხატვრული აღზრდის სახლის სახსრები შედგება სახელმწიფო ბიუჯეტით სახლისათვის გათვალისწინებული ასიგნობებისაგან და აგრეთვე იმ სპეციალური ასიგნობებისაგან, რომელიც გადაეცემა მხატვრული აღზრდის სახლს დავალებული ღონისძიებებისა და მუშაობის ჩასატარებლად.

2. სახლს გარდა საბიუჯეტო ანგარიშისა, აქვს აგრეთვე გახსნილი სპეც. სახსრების ანგარიში, შემოსავალ-გასავლისათვის

ფასიანი მუსიკალური წრებიდან და საკონცერტო დარბაზისა
რიდან.

3. თბილისის მხატვრული აღზრდის სახლს, რომელიც
სარგებლობს თბილისის განათლების განყოფილების ქვემდებარე
დაწესებულებების უფლებით, აქვს საკუთარი შტამპი, ბეჭედი,
და მას ენიჭება ამ დებულებებიდან გამომდინარე ოფრიდიული
უფლებები.

ვა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უმ. ობოლაძე
12 ივნისი 1966 წ.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სადამო-
სა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებ-
ლო სკოლების მეთოდური კაბინეტის დებულება**

**I. სადამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების მეთოდური კაბინეტის ორგანიზაცია**

1. სადამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლების მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს მეთოდურ
დაწესებულებას, რომელიც ექვემდებარება საქართველოს სსრ გა-
ნათლების სამინისტროს და მუშაობს სადამოსა და დაუსწრებელი
სკოლების სამმართველოს ხელმძღვანელობით. მეთოდკაბინეტი მუ-
შაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული კვარტალურ-
ი გეგმით. იგი პრაქტიკულ, მეთოდურ დახმარებას უწევს სადა-
მოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და დაუსწრებელ
სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცა-
ნის—მუშა და სოფლის ახალგაზრდობის აღზრდისა და კომუნის-
ტური საზოგადოების ღირსეულ წევრთა წარმატებით მომზადების
საქმეში.

2. მეთოდური კაბინეტი საქმიან კავშირს ახორციელებს სა-
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახე-
ლობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა, მასწავლებელთა დახელოვნე-
ბისა და სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სა-
დამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების ლენინგრადის სამეც-
ნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან.

**II. სადამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების მეთოდური კაბინეტის ამოცანები**

1. მეთოდკაბინეტი სწავლობს რესპუბლიკის სადამოს (ცვლის)
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და დაუსწრებელი სკოლების



საქმიანობას და ეხმარება ამ სკოლების მუშაკებს სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზაციაში.

2. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასმულ ამოცანათა განსხორციელებლად ადგენს მეთოდურ მითითებებს საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

3. მონაწილეობს სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების, საგამოცდო ბილეთების, საორგანიზაციო და მეთოდური დოკუმენტების შედგენა-დამუშავებაში.

4. ეხმარება მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებასა და საგნის სწავლების მეთოდების დაუფლებაში.

5. ადგენს წერიითი მუშაობის სახეებსა და რაოდენობას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხო ენებში.

6. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგს საჭიროების შემთხვევაში განსახილველად უდგენს განათლების სამინისტროს.

7. მეთოდკაბინეტი საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებზე, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სახის ღონისძიებებს უზღავნის რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

8. სწავლობს, ხელმძღვანელობს და დახმარებას უწევს ქალაქებისა და რაიონების პედაგოგიური კაბინეტების მუშაობას.

9. სწავლობს განათლების განყოფილებათა მიერ გატარებულ ღონისძიებებს ამ ტიპის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით.

10. სკოლებს უზღავნის მის მიერ გამოცემულ მეთოდურ წერილებსა და კრებულებს, რისთვისაც დებს ხელშეკრულებებს ავტორებთან, რედაქტორებთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

11. მასწავლებელთა სარაიონო, საქალაქო და ზონალურ თათბირებზე აწყობს მოხსენებათა წაკითხვას მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებათა გაზიარების მიზნით.

12. საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკის სკოლებს უზღავნის მოწინავე სკოლების მუშაობის გამოცდილების მასალებს სათანადო შენიშვნებითა და მითითებებით.

13. აწყობს სკოლების დირექტორებისა და სასწავლო დარგში მათი მოადგილეების თათბირებს მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით.



14. სკოლის სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის ბის შედეგებს იხილავს სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე.

15. აწყობს გამოცდილ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებას.

16. აწყობს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების ამსახველ დოკუმენტების გამოფენას.

III. საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთოდკაბინეტების შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

1. საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთოდკაბინეტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც შეირჩევა სახალხო განათლების დარგში მომუშავე საუკეთესო მუშაკთაგან და ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

2. მეთოდკაბინეტს ჰყავს მეთოდისტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ისტორიაში, ქიმიკ-ბიოლოგიაში, უცხო ენებში (აქედან ერთ-ერთი სპეციალობა აქვს თვით მეთოდკაბინეტის დირექტორს).

3. მეთოდკაბინეტს ჰყავს ბუხჰალტერი, ბიბლიოთეკარი, მდივან-მემანქანე და დამლაგებელი (0,5 სამტატო ერთეული).

4. მეთოდისტები შეირჩევიან სკოლის მოწინავე მუშაკთაგან და, მოეთხოვებათ უმაღლესი პედაგოგიური განათლება, პედმუშაობის არანაკლებ 5 წლის, აქედან 2 წლის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუშაობის სტაჟი.

5. მეთოდისტებს მეთოდკაბინეტის დირექტორისა და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს წარდგენით ინიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

6. საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთოდკაბინეტი წარმოადგენს სატელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას, რომელსაც აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა და ფინანსდება განათლების სამინისტროს მიერ.

7. მეთოდკაბინეტის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინება კაბინეტის მოწყობა, მისი ინვენტარით შევსება, სემინარების ჩატარება, ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის შექმნა, სასწავლო-მეთოდური ხასიათის მასალების, ბროშურების, პროგრამების და სხვათა შედგენა, თარგმნა, გამოქვეყნება და აღვილებზე დაგზავნა.

8. მეთოდკაბინეტი აწარმოებს ანგარაფსწორებას ავტორებთან, რეცენზენტებთან, რედაქტორებთან, მთარგმნელებთან და

სხვადასხვა ორგანიზაციასთან მათ მიერ შესრულებული სამუშაო-სათვის იმ სასწავლო-მეთოდური ხასიათის მასალების გამოცემასთან დაკავშირებით, რაც დამზადებულ იქნა სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტის მიერ.

9. მეთოდისტებს უფლება ეძლევათ პედაგოგიური გამოცდილების გამდიდრების მიზნით ჰქონდეთ გაკვეთილები სასწავლო წლის განმავლობაში 240 საათის რაოდენობით (სასურველია, საათები ჰქონდეთ სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში).

10. სალამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთოდკაბინეტის დირექტორს ევალება:

ა) კაბინეტის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთ-მმართველობის საფუძველზე;

ბ) კაბინეტის პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამკვიდრებული სამუშაო გეგმის შესრულება;

გ) კონტროლის გაწევა მეთოდურ მუშაობაზე;

დ) კაბინეტის მიერ დამუშავებული ყველა მეთოდური მასალის განათლების სამინისტროს კოლეგიაზე დამტკიცება და ზომების მიღება მათ გამოსაქვეყნებლად;

ე) ანგარიშის წარდგენა ყოველი კვარტალის ბოლოს ჩატარებული მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოსათვის;

ვ) თანამშრომელთა მუშაობის მაღალი ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა;

ზ) კაბინეტის ფულადი სახსრების ხარჯვა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

თ) კაბინეტის ბუხჰალტრის, ბიბლიოთეკარის, მდივან-მემანქანისა და დამლაგებლის სამუშაოზე დანიშვნა და განთავისუფლება.

IV. მეთოდკაბინეტის მოწყობა

1. სალამოს (ცვლის) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთოდკაბინეტი მთელი თავისი მოწყობილობით უზრუნველყოფს როგორც კაბინეტის თანამშრომლების, ისე მეთოდკაბინეტში მოსულ მასწავლებელთა სამუშაო პირობების შექმნას.



2. მეთოდკაბინეტთან არსებობს ბიბლიოთეკა საზოგადოებრივი-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური, მეცნიერულ-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურით.

3. მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი სათანადო წარწერით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 12 აგვისტოს სხდომის დადგენილება.

ცირკულარული წერილი

3/X—66 წელი № 1438

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს

სალამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მათემატიკის პროგრამაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

მიმდინარე, 1966—67 სასწავლო წელს სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-11 კლასის ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების პროგრამის პირველი თავიდან „ფუნქციები და ზღვრები“ ამოღებულია „ფუნქციის ზღვარი, სინუსისა და მისი არგუმენტის შეფარდების ზღვარი, როცა არგუმენტი მიისწრაფის ნულისაკენ“, ხოლო მეორე თავი „წარმოებული და მისი გამოყენება ფუნქციების გამოთვლისას“ ამოღებულია მთლიანად.

ამ თემებისათვის განკუთვნილი საათები დაეთმობა ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე ვარჯიშს და გავლილი მასალის განმეორებას.

ამასთან მასწავლებლებმა გარკვეული მუშაობა უნდა ჩაატარონ დილის სკოლის მე-10 კლასიდან, მუშაობის დაწყების გამო, სალამოს სკოლის XI კლასში გადმოსულ მოსწავლეებთან, ვინაიდან მათ ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების პროგრამიდან არ გაუვლიათ ორი თავი „შეკრების ტრიგონომეტრიული თეორემები და მათი შედეგები“ და „მაჩვენებლიანი და ლოგარითმული ფუნქციები“.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

სალამოსა და დაუსწრებელი
სკოლების სამმართველოს
უფროსი რ. კანდელაკი

შეთანხმებულია
საქართველოს სსრ ფინანსთა
მინისტრის მოადგილე
ს. ზალდასტანიშვილი

შეთანხმებულია
განათლების, უმაღლესი
სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის
საქართველოს კომიტე-
ტის თავმჯდომარე
ლ. მაღლაფერიძე
1966 წ. 1 ოქტომბერი

გამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლე-
ბის მინისტრის მოადგილე
უშ. ობოლაძე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დაწვებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და განათლების
სხვა დაწესებულებების მხატვრული წრეების შესახებ

1. დაწვებით, რვაწლიან, საშუალო სკოლებსა და განათლების სხვა დაწესებულებებში მშობელთა სურვილით, მათ ხარჯზე შეიძლება ჩამოყალიბდეს მხატვრული წრეები ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნების, მხატვრული კითხვისა და სხვ.
2. წრეების დაკომპლექტება ხდება მოსწავლეების მიდრეკილებისა და ასაკობრივი მონაცემების გათვალისწინებით.
3. თვითეული გაკვეთილის სიდიდე განისაზღვრება 45 წუთით.
4. მხატვრული კითხვის, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურული შემოქმედების, ქორეოგრაფიისა და სხვა წრეში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 10-დან 25-მდე. ჯგუფური მეცადინეობა (ქორეოგრაფია, სახვითი ხელოვნება) ტარდება ორჯერ კვირაში. ორ-ორი აკადემიური საათის ოდენობით.
5. მხატვრული წრეების ყოველ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს დღიური, სადაც შეიტანება საშინაო დავალება და მოსწრების შეფასება.
6. სასწავლო წლის ბოლოს, წრის წევრების ცოდნისა და ჩვევების შემოწმებას აწარმოებენ წრის ხელმძღვანელები და აღმინისტრაციის მიერ მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტები,

მოსწავლეთა მშობლებისათვის ეწყობა საანგარიშო დილა-საგუნდო
მოები.

7. წრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მასწავლებელი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიუხედავად იმისა მუშაობს თუ არა მოცემულ სკოლაში. წრის ხელმძღვანელთა მიღება ხდება დაწესებულების დირექტორის მიერ, საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

8. წრის ხელმძღვანელი ვალდებულია იქონიოს სამუშაო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია რაიონის (ქალაქის) ესთეტიკური აღზრდის სექციასთან და დამტკიცებულია დაწესებულების მიერ; გაკვეთილების ცხრილი და მოსწავლეთა დასწრების ჟურნალი.

9. მოსწავლეთა მშობლები იხდიან გადასახადს არა უგვიანეს 10 რიცხვისა—წრის ხელმძღვანელების, კონცერტმეისტერის, გამოცდაზე მოწვეული კვალიფიციური ხელმძღვანელის, მოანგარიშის და დამლაგებლის ხელფასის ანაზღაურებისათვის—სამშობლებო და სოციალური დარიცხვის გათვალისწინებით.

10. მშობელთა მიერ შემოტანილი თანხა ფორმდება სპეციალური სახსრების წესით.

11. წრეების ხელმძღვანელობასა და მუშაობაზე კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ადმინისტრაცია.

12. მხატვრული წრეების ნორმალური მუშაობისათვის დაწესებულება გამოყოფს სათაეს-ს (საკლასო ოთახს ან დარბაზს) საკრავებს, თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებს და სხვ.

13. დაწესებულების ხელმძღვანელობა ვალდებულია საკრავები და სხვა აღჭურვილობა იქონიოს სრულ წესრიგში.

14. წრეების ხელმძღვანელების, მეთოდისტების, აკომპანიატორების და მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ხდება სკპ ცენტრალური კომიტეტის სსრკ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშიართა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილების შესაბამისად.

15. წრეების შენახვის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს მუშაკთა შრომის ანაზღაურება გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში, არდადეგებისა და შვებულების ჩათვლით.

დამლაგებელზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთ მოსწავლეზე 10 კაპიკი თვეში და არ უნდა აღემატებოდეს მ. ს. ხელფასის განაკვეთს; მოანგარიშებზე 15 კაპიკი, თითოეულ მოსწავლეზე, მაგრამ

არა უმეტეს 50% ხელფასის განაკვეთისა, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს მასალების აღჭურვილობისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯები.

16. მოსწავლის ერთ თვემდე ავადმყოფობის შემთხვევაში გადასახდელი შეიტანება მთლიანად. თუ ავადმყოფობა ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, პირველი თვის გადასახადი მიიღება მთლიანად, ხოლო შემდეგი დღეების გადასახდელები მშობლებს არ გადახდება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეც-
ნი რაი მეთოდური კაბინეტი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება
№ 1058 1966 წ. 17 სექტემბერი

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სკოლებში საგაზაფხულო გამო-
ცდების დროს გამოვლინებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა
შესახებ

აღნიშნავ, რომ რესპუბლიკის დაწყებით, რვაწლიან, საშუა-
ლო ზოგადსაგანმანათლებლო, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ
სკოლებში გადასაყვანი, დამამთავრებელი და საშუალო განათლების
ატესტატზე ჩასაბარებელი საგაზაფხულო გამოცდებმა დაადასტურა,
რომ წინა წლებთან შედარებით სკოლებში გაუმჯობესდა სწავლე-
ბის ხარისხი.

მიუხედავად ამისა, გამოცდების დროს სკოლებში ადგილი
ჰქონდა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს. ცოდნის დაბალი
დონე გამოამჟღავნეს საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარე-
ბელი გამოცდების დროს მათემატიკაში ვანის რაიონის ფერეთის
სოფლის ახალგაზრდობის (ყოფილი დირექტორი ვ. სოსელია და
მასწავლებელი პ. ფალაგიშვილი), ყუმურის (სასწავლო ნაწილის
გამგე რ. თვალბეიშვილი, მასწავლებელი ი. ჯულაყიძე), ლაგო-
დების რაიონის ვარდისუბნის (დირექტორი ა. ჩხეიძე, მასწავლებე-
ლი ტ. ხუზიაშვილი), ლელიანის (დირექტორი კ. სხირტლაძე, მას-
წავლებელი ს. ქუმბურიძე), მშობლიურ ლიტერატურაში საგარეჯოს
რაიონის გომბორის (ყოფილი დირექტორი გ. გაბისონია, მასწავ-
ლებლები დ. იოსელიანი, შ. ციგროშვილი), ისტორიაში—ვანის
რაიონის ყუმურის (მასწავლებელი გ. ადგიშვილი) საშუალო სკო-
ლაში. საგარეჯოს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დი-
რექტორი გ. რევაზოვი, მასწავლებელი ა. კუთხაშვილი) 9 მოსწავ-
ლემ ალგებრა-ფიზიკაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო.
ასევე სუსტი ცოდნა გამოავლინეს ფიზიკაში ბოვდანოვკის რაიონის
განძის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ღურგარიანი, მას-
წავლებელი ს. ოგსიანი) X კლასის ფრიადოსანმა მოსწავლეებმა.



სოხუმის მე-17 (დირექტორი შ. ლასურია), გულრიფშის რეკტორი ა. რეხვიაშვილი), გაგრის რაიონის ალახაძის (დირექტორი ნ. ნანობაშვილი), ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის (დირექტორი ა. ჩხეიძე), სიღნაღის რაიონის ბოდბის (დირექტორი ი. ხუციშვილი), ზესტაფონის რაიონის I-ლი (დირექტორი ლომთაძე), II (დირექტორი გ. ბაშაღიშვილი), III (დირექტორი ბ. კუპატაძე), თბილისის მე-8 (დირექტორი ქ. ნახუცრიშვილი), მე-3 (დირექტორი ლ. ლუღუშაური), მე-14 (დირექტორი ი. ცქიტიშვილი), მე-16 (დირექტორი ს. ბიბიღიშვილი), მე-11 (დირექტორი ნ. მუჯირი), 118-ე (დირექტორი დ. ბერიძე), 79-ე (დირექტორი გ. მადოიანი) 90-ე (დირექტორი პ. ვეფხაძე), 86-ე (დირექტორი ი. შახრამანოვი), ჩხოროწყუს (დირექტორი ი. ახალაია) საშუალო სკოლებში აღვილი ჰქონდა მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად დადგენის შემთხვევებს. გულრიფშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ნ. კ—ია I-ლ მეოთხედში საკლასო ჟურნალის მიხედვით ფიზიკაში (მასწავლებელი ნ. კაჭარავა) არც ერთხელ არ ყოფილა გამოძახებული, მაგრამ მეოთხედის ბოლოს შეფასებულია ნიშან „5“-ზე. სიღნაღის რაიონის ბოდბის საშუალო სკოლის მოსწავლე თ. გ. სათვის მეოთხედში ქართულ ლიტერატურაში მასწავლებელს გაკვეთილი ერთხელ უკითხავს და შეუფასებია ნიშან „4“-ზე, ხოლო მეოთხედის ბოლოს დაუწერია „5“. ჩხოროწყუს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეს ზ. კ. ვას მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შედეგად მისცეს ვერცხლის მედალი, როცა მას მიმდინარე შეფასებებით ეკუთვნოდა ჩვეულებრივი ატესტატი. ასევე არასწორად ჰქონდათ მეოთხედური და წლიური ნიშნები გამოყვანილი თბილისის 58-ე საშუალო სკოლის 8 მოსწავლეს, 57-ე საშუალო სკოლის—6, 64-ე საშუალო სკოლის—6, 63-ე საშუალო სკოლის—4, 123-ე საშუალო სკოლის 4 მოსწავლეს.

ლაგოდეხის ქართული (დირექტორი ქ. ქებაძე), ამავე რაიონის ვარდისუბნის (დირექტორი ა. ჩხეიძე), თბილისის 54-ე (დირექტორი დ. გიორგაძე), 50-ე (დირექტორი ს. ჟანო), 52-ე (დირექტორი გ. ჩერკასოვა), 58-ე (დირექტორი ვ. ლომსაძე), 57-ე (დირექტორი ა. კოროხაშვილი), მე-5 მუშა ხალგაზრდობის (დირექტორი გ. რუსიშვილი), 91-ე (დირექტორი ს. იორდანოვი) საშუალო სკოლებში აღვილი ჰქონდა საკლასო, ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებიდან ნიშნების ამოფხეკისა და გადასწორების შემთხვევებს. აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეების ნიშნები ამოფხი-



კეს, გადაშალეს და უფრო მაღალი შეფასებები დაუწერეს, სათვის, რომ მედლის ატესტატი მიეცათ. ასე, მაგალითად, ლაგო-
დების ქართულ საშუალო სკოლაში 8 მედლის კანდიდატის ნიშა-
ნი ხუთ და მეტ საგანში ამოფხეკილი და გადასწორებულია, თბი-
ლისის 50-ე საშუალო სკოლაში—13 მოსწავლის, 58-ე საშუალო
სკოლის—8, 54-ე საშუალო სკოლის—3, მე 5 საშუალო სკოლის—8
მოსწავლის.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე 5 საშუალო სკოლის მას-
წავლელმა თევზაძემ მშობლებს მისცა ცნობა, რომ მის მიერ
საკლასო ჟურნალებში შეტანილი შეფასება სინამდვილეს არ შეე-
ფერება, მათ შვილებს უფრო მაღალი ნიშნები ეკუთვნითო.

თბილისის 52-ე, 57-ე 55-ე, ლაგოდების ქართულ საშუალო
სკოლებში საკლასო ჟურნალები მოუვლელია. თბილისის მე 4, 52-ე
და 55-ე საშუალო სკოლებში ადგილი ჰქონდა დამამთავრებელი
კლასების ჟურნალების დაკარგვის შემთხვევებს.

გამოცდების დროს მშობლიურ ლიტერატურასა და მათემა-
ტიკაში „შპარგალკების“ გამოყენების ცდას ადგილი ჰქონდა წალკის
რაიონის ბაშკოვის (დირექტორი კ. სარიევი), ჯინიშის (დირექტო-
რი გ. სეთუროვი), ბოგდანოვიკის სალამოს (დირექტორი გ. ჩობა-
ნიანი), ვანძის (დირექტორი ვ. დურგარიანი) საშუალო სკო-
ლებში.

მეთოდურად არასწორად იყო საგამოცდო ცხრილი შედგენი-
ლი ვანის რაიონის სალხინოს საშუალო სკოლაში (დირექტორი
ნ. ლორთქიფანიძე), X კლასში მათემატიკაში წერითი გამოცდის
შემდეგ ზეპირი გამოცდა ტარდებოდა ისტორიაში, საზოგადოებათ-
მცოდნეობაში, რუსულ ენასა და ფიზიკაში, ხოლო ამათ შემდეგ
ზეპირი გამოცდა გეომეტრიაში.

საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევას ადგილი ჰქონდა ქ. სო-
ხუმის მე-10 (დირექტორი გ. ჩუკბარი), ბოგდანოვიკის სალამოს (დი-
რექტორი ა. ჩობანიანი), წალკის (დირექტორი ვ. აიდინოვი) საშუ-
ალო სკოლებში. ასე, მაგალითად, ბოგდანოვიკის სალამოს რუსულ
საშუალო სკოლაში საგამოცდო კომისიის წევრად მშობლიურ ლი-
ტერატურაში შეყვანილი იქნა უმაღლესი განათლების არმქონე
მასწავლებელი. ბოგდანოვიკის რუსულ (დირექტორი ი. ვარაპეტი-
ანი), სომხურ (ი. პოლოსიანი), წალკის საშუალო სკოლებში გამო-
ცდების დროს ოთახებში შედიოდნენ უცხო პირები.



1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გულდასმით შეისწავლონ 1965—1966 სასწავლო წლის საგზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგები, განიხილონ კოლეგიების, განათლების საბჭოსა და ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სათანადო კონტროლი დააწესონ იმ სკოლებზე, სადაც გამოცდების პერიოდში აღვილი ჰქონდა საგამოცდო ინსტრუქციის, მოსწავლეთა შეფასების ნორმების დარღვევას და ნიშნების გადასწორებას;

გ) საფუძვლიანად შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა იმ სკოლებში, სადაც გამოცდების დროს გამომჟღავნდა მოსწავლეთა დაბალი აკადემიური წარმატება და ზიილონ გადამტრელი ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დაბალი დონის, მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად დადგენისა და ჟურნალებიდან მისი ამოფხეკა-გადასწორებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური: გ. რევაზოვს (საგარეჯოს რაიონის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი), ი. ახალაიას (ჩხორაწყუს საშუალო სკოლის დირექტორი), კ. ქებაძეს (ლაგოდების საშუალო სკოლის დირექტორი), ს. ჟანოს (თბილისის 50-ე საშუალო სკოლის დირექტორი) ი. ჩერკასოვას (თბილისის 52-ე საშუალო სკოლის დირექტორი), კ. ღურგარიანს (ბოგდანოვკის რაიონის განძის საშუალო სკოლის დირექტორი).

3. მოსწავლეთა სუსტი მომზადებისა და საკლასო, ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებიდან ნიშნების ამოფხეკა-გადასწორებისათვის გამოეცხადოთ საყვედური: ვ. სოსელიას (ვანის რაიონის ფერეთის საღამოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი), პ. ფალავიშვილს (ვანის რაიონის ფერეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი), ი. ჯულაყიძეს და გ. ადეიშვილს (ვანის რაიონის ყუმურის საშუალო სკოლის მასწავლებლები). ა. ჩხეიძეს (ლაგოდების რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის დირექტორი), ტ. ხუხაშვილს (ლაგოდების რაიონის ვარდისუბნის

საშუალო სკოლის მასწავლებელი), კ. სხირტლაძეს (ლაგოდეხის რაიონის ლელიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი), ვ. ლომსაძეს (თბილისის 58-ე საშუალო სკოლის დირექტორი), ა. კორახიშვილს (თბილისის 57-ე საშუალო სკოლის დირექტორი), გ. რუსიშვილს (თბილისის მე-5 მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი), ზ. იორდანოვს (თბილისის 91-ე საშუალო სკოლის დირექტორი), ა. კუთხაშვილს (საგარეჯოს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებელს).

4. მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად დადგენისათვის მიეთითოთ: გ. ლასურიას (სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორი), ა. რეხვიაშვილს (გულრიფშის საშუალო სკოლის დირექტორი), ნ. ნანობაშვილს (გაგრის რაიონის ალახაძის საშუალო სკოლის დირექტორი), ა. ლომიძეს (ზესტაფონის I-ლი საშუალო სკოლის დირექტორი), გ. ბაშალიაშვილს (ზესტაფონის II საშუალო სკოლის დირექტორი), ბ. კუპატაძეს (ზესტაფონის III საშუალო სკოლის დირექტორი), ქ. ნახუცრიშვილს (თბილისის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორი), ლ. ლუდუშაურს (თბილისის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი), ა. მუჯირს (თბილისის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორი), დ. ბერაძეს (თბილისის 118-ე საშუალო სკოლის დირექტორი), ვ. მადოიანს (თბილისის 79-ე საშუალო სკოლის დირექტორი), პ. ვეფხაძეს (თბილისის 90-ე საშუალო სკოლის დირექტორი), ი. შახრამანოვს (თბილისის 86-ე საშუალო სკოლის დირექტორი), რ. თვალაბეიშვილს (ვანის რაიონის ყუმურის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში).

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) და სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) შეამოწმონ სასწავლო აღზრდებლობითი მუშაობა იმ რაიონების სკოლებში, სადაც გამოცდების დროს გამოაშკარავდა მოსწავლეთა წარმატების დაბალი დონე და ადგილი ჰქონდა ცოდნის ლიბერალურ შეფასებას;

ბ) ზერჩევით შეამოწმონ რაიონებისა და ქალაქების ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა მიმდინარე, მეოთხედური და წლიური შეფასებათა სისწორე და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) ა/წლის 15 ოქტომბრამდე შეამოწმონ უმაღლეს სას-



საქართველოს
ლიბრეოთეკა

წაველებლებში მისაღები გამოცდების შედეგები და მოახსენებ-
ლეგიას.

ნ. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო გა-
ნათლებაში“.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 858—1966 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეთა ზავშეების დასვენების-ორგანიზაციის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 18 ივნისის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ	3
2. ბრძანება № 901—517/ო—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო-სანიტარული მომსახურების გაუმჯობესების შესახებ	7
3. მითითებანი წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების შესახებ	13
4. მითითებანი წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემოდონე მოზრდილი მოსახლეობის სწავლების შესახებ	20
5. ბრძანება № 910—საგზაო საფრთხის შემცირების ღონისძიებათა შესახებ	24
6. ბრძანება № 915—1966 წლის ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ	26
7. ბრძანება № 9-9/581/ი—სკოლებში ჰიგიენის საკითხების სწავლებისა და მოსწავლეთა ჰიგიენური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	29
8. ბრძანება № 1104—საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედებების V რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ	32
9. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების V ოლიმპიადის ფიურის 1966 წლის 8 ივლისის სხდომის ოქმი	39
10. ცირკულარული წერილი ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დამამთავრებელი X და XI კლასების მოსწავლეთა სხვა სკოლებში გადაყვანის აკრძალვის შესახებ	70
11. თბილისის განათლების განყოფილების მხატვრული აღზრდის სახლის დებულება	72
12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთოდური კაბინეტის დებულება	76
13. ცირკულარული წერილი საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მათემატიკის პროგრამაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ	81
14. დებულება დაწყებითი, რეაწლიანი, საშუალო სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებების მხატვრული წრეების შესახებ	82
15. ბრძანება № 1058—საქართველოს სსრ რესპუბლიკის სკოლებში საგზაფხულო გამოცდებს დროს გამოვლინებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ 85	85

ყ. 52/48



რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კპვ.

გელმოწერილია დახაზვებულად 1/XII.-66 წ. ინაწყოების ზომა 6 x 10
ქაღალდის ზომა 60 x 84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6

ტირაჟი 5000.

შე-06210

შეგ. № 1287.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19